



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

7 ოქტომბერი 2023 წელი

N 3/36

ეგზ.: N 1

სს „საქართველოს რკინიგზა“

2020-2021 წლების შესყიდვების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	2
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	6
 1. შესავალი	 7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	7
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი	8
აუდიტის მეთოდოლოგია	8
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
 2. აუდიტის მიგნებები	 10
2.1 ელექტრონული ტენდერები	10
2.1.1 ხელშეკრულების ღირებულების დაუსაბუთებლად გაზრდა	10
2.1.2 პრეტენდენტისთვის გამარჯვებულის სტატუსის უსაფუძვლოდ მინიჭება	11
2.1.3 არასათანადოდ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები	12
2.1.4 შესყიდვების კანონმდებლობის ხარვეზი	14
2.2 ელექტრონული პროცედურა	15
2.2.1 ხელშეკრულების შესრულების გარანტიის შეუსაბამობა ელექტრონული პროცედურის პირობასთან	15
2.2.2 პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესის ნაკლოვანება	16
2.3 სხვადასხვა შეუსაბამობები	17
2.3.1 ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკი	17
2.3.2 ბაზრის კვლევის ნაკლოვანებები	18
დანართი	22
საკონტაქტო ინფორმაცია	23

ტერმინები და შემოკლებები

კომპანია – სს „საქართველოს რკინიგზა“.

ფასს - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

შესყიდვების სპეციალური წესი – შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ელექტრონული ტენდერები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სს „საქართველოს რკინიგზის“ 2020-2021 წლების შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი, რის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

პრეტენდენტისთვის გამარჯვებულის სტატუსის უსაფუძვლოდ მინიჭება

247,780 ლარის სავარაუდო ღირებულების ტენდერის საგანს წარმოადგენდა უნიფორმების შესყიდვა. ტენდერში მონაწილე ერთადერთმა პრეტენდენტმა დაზუსტებული ფასების ცხრილში ორ პოზიციაზე შეცვალა მწარმოებელი კომპანია და წარმოშობის ქვეყანა, რაც დავების განხილვის საბჭოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ითვლება ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებად. შესაბამისად, პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, რაც სს „საქართველოს რკინიგზამ“ არ განახორციელა და მიმწოდებელს გაუფორმა 92,642 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება.

შესყიდვების კანონმდებლობის ხარვეზი

2021 წელს გამოცხადებული, 1,400,000 ლარის სავარაუდო ღირებულების ტენდერის შესყიდვის საგანს წარმოადგენდა სამგზავრო გადაყვანების მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვა. კომპანიამ ტენდერში უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განახორციელა არასათანადოდ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის გამო. კერძოდ, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დაზუსტებული ფასების ცხრილში ცალკეული პოზიციის ღირებულებების ჯამი 0.06 აშშ დოლარით ნაკლები იყო, ამავე ფასების ცხრილში მითითებულ ჯამურ/საერთო ღირებულებაზე.

კომპანიამ ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების არსებულ რეგულაციებში მოქნილი მექანიზმის არარსებობის გამო, დისკვალიფიკაცია მიანიჭა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს და გააფორმა 8,600 ლარით მეტი ღირებულების ხელშეკრულება.

ამრიგად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი რეგულაციები სრულად ვერ უზრუნველყოფს შესყიდვების კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზნის – სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

არასათანადოდ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები

2021 წელს გამოცხადებული 282,374 ლარის სავარაუდო ღირებულების ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ლოკომოტივის სასინჯი თხრილის შეკეთების სამუშაოები. სატენდერო პირობებით, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა, მინიმუმ, რკინა-ბეტონის მოწყობის, რკინა-ბეტონის კიბეების მოწყობის და ელგაყვანილობის განხორციელების გამოცდილება, რაზეც უნდა წარმოედგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. ტენდერში მონაწილე ერთადერთმა პრეტენდენტმა, შპს „სამშენებლო კომპანია ბარსიმ“, შერჩევა-შეფასების ეტაპზე გამოცდილების დასადასტურებლად წარადგინა ტენდერის გამოცხადებიდან 5 დღის შემდეგ ფიზიკურ პირთან გაფორმებული 420 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, რომლის შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ეზოს მოწყობის სამუშაოები. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტი გამოაცხადა გამარჯვებულად და გაუფორმა 90,143 აშშ დოლარის ღირებულების

ხელშეკრულება. კომპანიის განმარტებით, მიმწოდებელმა შეძლო სამუშაოების მხოლოდ 15%-ის შესრულება.

კომპანიის მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციაში პრეტენდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები არ იყო სათანადოდ განსაზღვრული, რის გამოც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შესყიდვის ობიექტის მოცულობასთან შეუსაბამო გამოცდილების მქონე კომპანია, რომელმაც ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოების შესრულება.

ამასთანავე, სს „საქართველოს რკინიგზამ“ ვერ განახორციელა სათანადო კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე და ხელშეკრულება შეწყვიტა დავიანებით, რის გამოც ვერ შეძლო 3,820 აშშ დოლარის ოდენობის საგარანტიო თანხის გამოთხოვა. კომპანიის განმარტებით, ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის, კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ღირებულება აღემატებოდა საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას და შესაბამისად, აღარ გახდა საჭირო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოთხოვა.

ხელშეკრულების ღირებულების დაუსაბუთებლად გაზრდა

2020 წელს გამოცხადებული 1,080,000 ლარის სავარაუდო ღირებულების ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ჯართის და ფერადი ლითონის დახარისხების, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების მომსახურების შესყიდვა. ხელშეკრულებაში სათანადო დასაბუთების გარეშე შევიდა ცვლილება და ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 39,000 ლარით. კონტრაქტორმა ხელშეკრულების ღირებულების ცვლილების მიზეზად დაასახელა ჯართის დახარისხების ადგილამდე 24 კმ სიგრძის გზის გაყვანისა და მოსწორების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობის ფაქტი.

ელექტრონული პროცედურა

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის შეუსაბამობა ელექტრონული პროცედურის პირობებთან

შესყიდვის ელექტრონული პროცედურების პირობების თანახმად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა, 50 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადას. ხშირ შემთხვევებში ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოქმედების ვადა არ შეესაბამება ელექტრონული პროცედურების პირობებით დადგენილ ვადას. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას არ ფარავდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა.

პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესის ნაკლოვანება

კომპანიის შესყიდვების სპეციალურ წესში, ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრისათვის დადგენილი ვადების არ არსებობის გამო, სხვადასხვა ტენდერში პრეტენდენტებს, დასაზუსტებელი დოკუმენტების შემდგომი მოძიებისა და წარდგენისათვის, ფაქტობრივად

ემლეოდან ერთმანეთისაგან განსხვავებული ვადები. აღნიშნული სრულად არ აკმაყოფილებდა იმავე წესის მოთხოვნას, შესყიდვების განხორციელებისას დაცული ყოფილიყო პრეტენდენტების მიმართ სამართლიანი მიდგომის პრინციპი.

სხვადასხვა შეუსაბამოებები

ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკი

კომპანიის ელექტრონული ტენდერებისა და შესყიდვის ელექტრონული პროცედურების მნიშვნელოვან ნაწილში განსაზღვრული ანგარიშსწორების გრძელვადიანი პერიოდი, შესაძლოა ამცირებდეს პოტენციური პრეტენდენტების მიერ ტენდერებში მონაწილეობის მოტივაციას და კონკურენციის დონეს, რაც ქმნის შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.

ბაზრის კვლევის ნაკლოვანებები

ელექტრომატარებლების დაზღვევის მომსახურების 5-წლიანი ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა 2021 წლის 25 ივლისს. 2021 წლის შესყიდვების გეგმის შედგენის დროს, კომპანიას ახალი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით შესყიდვის პროცედურის განსახორციელებლად, ბაზრის კვლევა არ ჩაუტარებია. ბაზრის კვლევის პროცედურები კომპანიამ დაიწყო ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე, თუმცა საკვლევი ობიექტის კომპლექსურობის გამო, აღნიშნული პერიოდი არ აღმოჩნდა საკმარისი. შედეგად, ტენდერი ვერ გამოცხადდა წინა ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე, რის შედეგადაც კომპანიას დაუდგა სადაზღვევო მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული წესით შესყიდვის აუცილებლობა. აღნიშნული ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის პრინციპს. შედეგად, სხვადასხვა დროს, 3 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში, კომპანიას ელექტრომატარებლები არ ჰქონდა დაზღვეული და ასევე 14,000 აშშ დოლარზე მეტი თანხა გადაიხადა ეკონომიურობის პრინციპის დარღვევით.

სს „საქართველოს რკინიგზამ“ ზოგიერთ შემთხვევაში ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, რაც არ შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნას. წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უმეტეს შემთხვევებში არ არის სისტემატიზებული და სრულყოფილი. სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმები არ არის შედგენილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა – კომპანიის მიერ განხორციელებული ბაზრის კვლევა, უზრუნველყოფს თუ არა კონკურენტული გარემოს შექმნას და ფულადი სახსრების რაციონალურ განკარგვას.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, იმსჯელოს ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების არსებულ რეგულაციებში მოქნილი მექანიზმების დანერგვაზე.

რეკომენდაცია N2. სს „საქართველოს რკინიგზას“

სს „საქართველოს რკინიგზის“ ინტერესების და სატენდერო პირობების დაცვის მიზნით, კომპანიამ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიასთან დაკავშირებით სატენდერო პირობებით განსაზღვრული რეგულაციებისა და ამ რეგულაციების შესრულების მექანიზმების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

რეკომენდაცია N3. სს „საქართველოს რკინიგზას“

სს „საქართველოს რკინიგზამ“, შესყიდვების განხორციელებისას კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, იმსჯელოს მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ანგარიშსწორების ვადების შემცირების შესახებ.

რეკომენდაცია N4. სს „საქართველოს რკინიგზას“

სს „საქართველოს რკინიგზამ“, სატენდერო პირობების სათანადოდ განსაზღვრისა და ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, შექმნას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის სათანადოდ განხორციელებას და აღნიშნული კვლევის შედეგების შესაბამისად დოკუმენტირებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სს „საქართველოს რკინიგზის“ 2020-2021 წლების შესყიდვები შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა სს „საქართველოს რკინიგზის“ შესყიდვები, მათ შორის:

- ელექტრონული ტენდერები;
- ელექტრონული პროცედურები;
- გამარტივებული შესყიდვები;
- ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელებული შესყიდვები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა სს „საქართველოს რკინიგზის“ 2020-2021 წლების სახსრებით გაფორმებული ხელშეკრულებები.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N659 დადგენილებით დამტკიცებული შესყიდვების სპეციალური წესი;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N814 დადგენილებით დამტკიცებული შესყიდვების სპეციალური წესი;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N321 დადგენილება „სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სხვა კრიტერიუმები (მითითებულია ძირითად ტექსტში).

აუდიტის მიზანი

- დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და, სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- შემოწმება;
- ხელახალი გაანგარიშება;
- ანალიტიკური პროცედურები;
- ინტერვიუ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სს „საქართველოს რკინიგზის“ დამფუძნებელი პარტნიორი და 100%-იანი აქციების მფლობელია სახელმწიფო, წარმოდგენილი სს „საპარტნიორო ფონდის“ სახით. კომპანია წარმოადგენს შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამართალმემკვიდრეს. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, რაც ძირითადად მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

- ტვირთების ტრანსპორტირება, მგზავრთა გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა;
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ოპერირება და მართვა;
- ახალი სარკინიგზო ხაზების პროექტირება და მშენებლობა;
- არსებული მატერიალური აქტივების მიზნობრივი ექსპლუატაცია და მართვა;
- სამხედრო-სარკინიგზო გადაყვანა-გადაზიდვების ორგანიზება და განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის მმართველობითი ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო. კომპანია ფლობს სს „ჯორჯიან რეილვეი ქონსტრუქშენის“ აქციების 100%-ს, ექვსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების („ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“, „ჯიარ ტრანზიტი“, „ჯიარ ტრანს შიფმენტი“, „ჯიარ ქონების მართვა“, „ჯორჯია ტრანზიტი“) 100% წილს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0112, თამარ მეფის გამზირი N15.

შესყიდვები

კომპანიის მიერ, 2020-2021 წლების სახსრებით, სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებულია 761 ხელშეკრულება – 256,773,760 ლარის ღირებულებით:

ცხრილი N1. ინფორმაცია კომპანიის 2020-2021 წლების სახსრებით გაფორმებული, აუდიტის ფარგლებში შესწავლილი ხელშეკრულებების შესახებ (ლარი)

შესყიდვის ტიპი	რაოდენობა	ღირებულება	მათ შორის, შერჩეული	
			რაოდენობა	ღირებულება
ელექტრონული ტენდერი	248	41 379 121	35	33 576 760
ელექტრონული პროცედურა	202	150 484 003	37	129 853 102
გამარტივებული შესყიდვა	79	31 117 021	30	8 586 048
ერთ პირთან მოლაპარაკება	139	15 372 936	31	14 574 625
კონსოლიდირებული შესყიდვა	93	18 420 679	0	0
სულ	761	256 773 760	133	186 590 535

2. აუდიტის მიგნებები

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის მიგნებები: ხელშეკრულების ღირებულების დაუსაბუთებლად გაზრდა, პრეტენდენტისთვის გამარჯვებულის სტატუსის უსაფუძვლოდ მინიჭება, არასათანადოდ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები, შესყიდვების კანონმდებლობის ხარვეზი, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის შეუსაბამობა ელექტრონული პროცედურის პირობასთან, პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესის ნაკლოვანება და სხვა ნაკლოვანებები.

2.1 ელექტრონული ტენდერები

2.1.1 ხელშეკრულების ღირებულების დაუსაბუთებლად გაზრდა

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით,¹ დაუშვებელია ხელშეკრულების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მიხედვით, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით. ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.

კომპანიის მიერ გამოცხადებული ტენდერის პირობების მიხედვით,² შემოთავაზებული მომსახურების პროცესში გაუთვალისწინებლად წარმოქმნილ დამატებით სამუშაოებს უზრუნველყოფდა მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს გამოცხადებული 1,080,000 ლარის სავარაუდო ღირებულების ტენდერის³ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ჯარტის და ფერადი ლითონის დახარისხების, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების მომსახურების შესყიდვა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა – შპს „კახეთმა“, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად და გაუფორმდა 392,156 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება.

2021 წელს ხელშეკრულებაში შევიდა ორი ცვლილება, რომლებითაც გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულება. აღსანიშნავია, რომ მეორე ცვლილება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. კერძოდ, მიმწოდებელმა 2021 წლის 11 მარტის წერილით მოითხოვა ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა 39,000 ლარით დღგ-ის გარეშე, რასაც ასაბუთებდა ჯარტის დახარისხების ადგილამდე 24 კმ, გზის გაყვანისა და მოსწორების საჭიროებით, ასევე ტრაქტორების გამოყენების აუცილებლობით, რაც მიმწოდებლის წერილის მიხედვით იწვევდა

¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 36-ე მუხლი.

² NAT200014002 სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი.

³ 2020 წლის 9 სექტემბერს გამოცხადებული ტენდერი NAT200014002.

გაუთვალისწინებელ ხარჯებს. აღნიშნულ წერილში არ იყო სათანადო დასაბუთება ხელის შემშლელი გარემოებების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოშობის შესახებ.

კომპანიის განმარტებით, მიმწოდებელს სატენდერო პირობებითა და ხელშეკრულებით ეკისრებოდა მომსახურების გაწევის ვალდებულება მხოლოდ დანართში მითითებულ ლოკაციებზე. ფაქტობრივად კი მიმწოდებელს მომსახურების გაწევა მოუწია დანართში მითითებული ადგილიდან 24 კილომეტრის მოშორებით, სოფელ რუხში, სადამდე მისასვლელი საავტომობილო გზაც ფაქტობრივად არ არსებობდა და მძიმე ტექნიკისათვის ლოკაცია იყო მიუვალი.

დასკვნა: სს „საქართველოს რკინიგზამ“ სატენდერო პირობების შეუსაბამოდ, სათანადო დასაბუთების გარეშე, გაზარდა ხელშეკრულების ღირებულება 13,820 აშშ დოლარით დღგ-ის ჩათვლით, რითაც შემსყიდველისთვის გაუარესდა სახელშეკრულებო პირობები.

2.1.2 პრეტენდენტისთვის გამარჯვებულის სტატუსის უსაფუძვლოდ მინიჭება

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად,⁴ ტექნიკური დოკუმენტაციის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, სატენდერო კომისიამ უნდა მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიერ დადგენილი პრაქტიკით⁵ კი, პრეტენდენტის მიერ დაზუსტების ეტაპზე საქონლის მწარმოებელი ქვეყნის ან/და კომპანიის შეცვლა წარმოადგენს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას.

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით,⁶ თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წელს გამოცხადებული 247,780 ლარის სავარაუდო ღირებულების ტენდერის⁷ შესყიდვის საგანს წარმოადგენდა უნიფორმების შესყიდვა. ტენდერში მონაწილე ერთადერთმა პრეტენდენტმა დაზუსტებული ფასების ცხრილში ორ პოზიციაზე შეცვალა მწარმოებელი კომპანია და წარმოშობის ქვეყანა. კერძოდ, თავდაპირველ ეტაპზე შემოთავაზებული ირლანდიური კომპანია PORTWEST-ის წარმოებული ჩაფხუტი და ხმაურის დამხშობი დაზუსტებულ ფასების ცხრილში შეცვალა თურქული კომპანია ESSAFE-ის მიერ წარმოებული საქონლით. სატენდერო კომისია ვალდებული იყო, ტექნიკური დოკუმენტაციის არსებითი ცვლილების გამო მოეხდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, რაც არ განახორციელა და შპს „ნუტას“ გაუფორმა 92,642 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება.

ამასთანავე, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ შეესაბამებოდა სატენდერო პირობებს. კერძოდ, შპს „ნუტას“ მიერ წარმოდგენილი გარანტია, სატენდერო პირობებით მოთხოვნილი აშშ დოლარის ნაცვლად, გაცემული იყო ლარში. აღნიშნული

⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 32-ე მუხლი.

⁵ მაგალითად, DIS160022771-01, DIS160011161-01.

⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁷ 2021 წლის 22 ივლისის ტენდერი NAT210013485.

შეუსაბამობა წარმოადგენდა დისკვალიფიკაციის მეორე საფუძველს, რაც შემსყიდველს არ განუხორციელებია.

დასკვნა: სს „საქართველოს რკინიგზამ“ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, დაზუსტების ეტაპზე არსებითად შეცვლილი სატენდერო წინადადების გამო, არ განხორციელა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და გაუფორმა 92,642 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება.

2.1.3 არასათანადოდ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები

კრიტერიუმები: შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად,⁸ სატენდერო კომისია ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების დროს განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს როგორც პრეტენდენტი, ისე – შესყიდვის ობიექტი. პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის მიხედვით,⁹ შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლების მიმართ წაყენებული მოთხოვნების სწორად ჩამოყალიბება სანდო, ფინანსურად და ტექნიკურად შეძლებული, ასევე კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული მიმწოდებლის შერჩევის და შესაბამისად, შესყიდვის მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით,¹⁰ მიმწოდებელი შავ სიაში უნდა დარეგისტრირდეს, თუ იგი ვერ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს სააგენტოს წერილობით, თუ წარმოიშობა შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით,¹¹ საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლება აქვს მხოლოდ ამ კანონით დადგენილი წესით სერტიფიცირებულ აუდიტორს.

ფაქტობრივი გარემოება 1: 2021 წელს გამოცხადებული 282,374 ლარის სავარაუდო ღირებულების ელექტრონული ტენდერის¹² შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ლოკომოტივის სასინჯი თხრილის შეკეთების სამუშაოები. სატენდერო დოკუმენტაცია აღნიშნული სამუშაოების განხორციელებას ითვალისწინებდა სამ სხვადასხვა ობიექტზე. სატენდერო პირობებით, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა მინიმუმ რკინა-ბეტონის მოწყობის, რკინა-ბეტონის კიბეების მოწყობის და ელ. გაყვანილობის განხორციელების გამოცდილება, რაზეც უნდა წარმოედგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლი.

⁹ <http://www.procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=bca7c16a-ed7f-40a9-9cda-6085feb8bcdcf>

¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N 19 ბრძანების მე-3 და მე-4 მუხლები.

¹¹ კანონის 36⁴ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹² 2021 წლის 30 სექტემბერს გამოცხადებული ტენდერი NAT210019023.

აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტის შესაძლებლობების შესაფასებლად შემსყიდველს სხვა საკვალიფიკაციო ან/და ტექნიკური მოთხოვნა, მაგალითად, გამოცდილების მინიმალური თანხობრივი ზღვარი, არ განუსაზღვრავს. ტენდერში მონაწილე ერთადერთმა პრეტენდენტმა, შპს „სამშენებლო კომპანია ბარსიმ“, შერჩევა-შეფასების ეტაპზე გამოცდილების დასადასტურებლად წარადგინა ტენდერის გამოცხადებიდან 5 დღის შემდეგ ფიზიკურ პირთან გაფორმებული 420 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, რომლის შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ეზოს მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით სამუშაოები მოიცავდა რკინა-ბეტონის ფუნდამენტის მოწყობას, რკინა-ბეტონის კიბეების მოწყობას, ელგაყვანილობის დემონტაჟს და მონტაჟს. პრეტენდენტმა ასევე წარადგინა 2021 წლის 17 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

პრეტენდენტს გამოცდილების დასადასტურებლად, ასევე წარმოდგენილი ჰქონდა ორი სახელმწიფო ტენდერის განაცხადის ნომერი, თუმცა აღნიშნული ტენდერების ფარგლებში შესრულებული ვალდებულებები არ შეესაბამებოდა პრეტენდენტის მიერ გამოცდილების შესახებ სატენდერო პირობებში არსებულ მოთხოვნებს.¹³

სატენდერო კომისიამ პრეტენდენტი გამოაცხადა გამარჯვებულად და გაუფორმა 90,143 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2021 წლის 20 დეკემბრიდან 165 კალენდარულ დღეში, 2022 წლის 3 ივნისის ჩათვლით.

კომპანიის განმარტებით, მიმწოდებელს სამუშაოების, დაახლოებით, 15% შესრულებული ჰქონდა 2022 წლის იანვრის მდგომარეობით და მას შემდეგ სამუშაოები აღარ გაუგრძელებია, რის შესახებაც კომპანია პერიოდულად იღებდა ინფორმაციას ტექნიკური ზედამხედველისგან. 2022 წლის 3 ივნისიდან მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე ეკისრებოდა პირგასამტეხლო, რომლის დარიცხვაც ხელშეკრულების მიხედვით,¹⁴ უნდა შეწყვეტილიყო მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევდა საერთო ღირებულების 5%-ს. დაკისრებულმა პირგასამტეხლომ აღნიშნულ მოცულობას მიაღწია 2022 წლის 22 ივლისს, თუმცა შემსყიდველმა არ შეწყვიტა ხელშეკრულება და არ მოითხოვა საგარანტიო თანხის ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი გარანტია ძალაში იყო 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით.

შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციის მიხედვით, შემსყიდველმა სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო, ხელშეკრულება შეწყვიტა მხოლოდ 2022 წლის 11 აგვისტოდან და მიმწოდებელს დაარიცხა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, თუმცა მიმწოდებელს აღნიშნული შეტყობინება ვერ ჩაბარდა მისამართზე ადრესატის არ ყოფნის გამო.

კომპანიამ წარმოადგინა ტექნიკური ზედამხედველის 2022 წლის 22 აგვისტოს წერილი, რომლის მიხედვითაც შპს „სამშენებლო კომპანია ბარსიმ“ მიერ

¹³ NAT200004152 ტენდერის შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ხიდის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, ხოლო NAT190013984 ტენდერით გათვალისწინებული სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები არ მოიცავდა რკინა-ბეტონის კიბეების მოწყობისა და ელგაყვანილობის სამუშაოებს.

¹⁴ 2021 წლის 25 ნოემბრის N 21-336 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლი.

შესრულებულმა სამუშაოებმა ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისთვის შეადგინა 6,470 აშშ დოლარი დღგ-ის გარეშე, რაც კომპანიის განმარტებით, აღემატებოდა საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას და შესაბამისად, აღარ გახდა საჭირო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოთხოვა. ასევე აღსანიშნავია, რომ შემსყიდველმა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით შესყიდვების სააგენტოს მიმართა დაგვიანებით, 2022 წლის 25 ოქტომბერს, აუდიტის მიმდინარეობისას, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუდიტის ჯგუფი დაინტერესდა აღნიშნული საკითხით.

ფაქტობრივი გარემოება 2: 2020 წელს სს „საპარტნიორო ფონდმა“ გამოაცხადა ტენდერი¹⁵ სს „საპარტნიორო ფონდისა“ და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების, მათ შორის, სს „საქართველოს რკინიგზის“, აუდიტორული (ფასს-თან შესაბამისობის) მომსახურების შესყიდვის მიზნით. გამარჯვებულ კომპანიასთან სათითაოდ უნდა გაეფორმებინათ ხელშეკრულებები და ანგარიშსწორებებიც უნდა ეწარმოებინათ დამოუკიდებლად. შემსყიდველს სატენდერო დოკუმენტაციით არ ჰქონდა მოთხოვნილი საჯარო აუდიტორის სერტიფიკატი, როგორც საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი წინაპირობა.

დასკვნა: კომპანიის მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციაში პრეტენდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები არ იყო სათანადოდ განსაზღვრული, რის გამოც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შესყიდვის ობიექტის მოცულობასთან შეუსაბამო გამოცდილების მქონე კომპანია, რომელმაც ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოების შესრულება.

კომპანიამ ვერ განახორციელა სათანადო კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე და ხელშეკრულება შეწყვიტა დაგვიანებით, რის გამოც ვერ შეძლო 3,820 აშშ დოლარის ოდენობის საგარანტიო თანხის გამოთხოვა. კომპანიის განმარტებით, ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის, კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ღირებულება აღემატებოდა საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას და შესაბამისად, აღარ გახდა საჭირო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოთხოვა.

შემსყიდველს სატენდერო დოკუმენტაციით არ ჰქონდა მოთხოვნილი საჯარო აუდიტორის სერტიფიკატი, როგორც საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი წინაპირობა, რითაც შექმნა არაუფლებამოსილი აუდიტორების მხრიდან მომსახურების გაწევის რისკი.

2.1.4 შესყიდვების კანონმდებლობის ხარვეზი

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.¹⁶ შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებისთვის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი რეგულაციები უნდა უზრუნველყოფდნენ ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

¹⁵ SPA200002990

¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წელს გამოცხადებული, 1,400,000 ლარის სავარაუდო ღირებულების ტენდერის¹⁷ შესყიდვის საგანს წარმოადგენდა სამგზავრო გადაყვანების მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვა. კომპანიამ ტენდერში უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განახორციელა არასათანადოდ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის გამო, კერძოდ, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დაზუსტებული ფასების ცხრილში ცალკეული პოზიციის ღირებულებების ჯამი 0.06 აშშ დოლარით ნაკლები იყო ამავე ფასების ცხრილში მითითებულ ჯამურ/საერთო ღირებულებაზე. აღსანიშნავია, რომ პოზიციების ღირებულების ჯამი არ აღემატებოდა ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ ფასს. დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების საბჭოში, თუმცა საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საბჭოს განმარტებით, შემსყიდველის გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ იყო კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვინაიდან შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სატენდერო პირობებთან ტექნიკური დოკუმენტაციის შეუსაბამობების რაიმე სახის კლასიფიკაციას. საბოლოოდ, შემსყიდველმა ხელშეკრულება გააფორმა მომდევნო პრეტენდენტთან, რომლის მიერ დაფიქსირებული ფასი 8,600 ლარით აღემატებოდა დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასს.

დასკვნა: კომპანიამ ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების არსებულ რეგულაციებში მოქნილი მექანიზმის არარსებობის გამო, დისკვალიფიკაცია მიანიჭა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს და გააფორმა 8,600 ლარით მეტი ღირებულების ხელშეკრულება.

ამრიგად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი რეგულაციები სრულად ვერ უზრუნველყოფს შესყიდვების კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზნის – სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია N1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, იმსჯელოს ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების არსებულ რეგულაციებში მოქნილი მექანიზმების დანერგვაზე.

2.2 ელექტრონული პროცედურა

2.2.1 ხელშეკრულების შესრულების გარანტიის შეუსაბამობა ელექტრონული პროცედურის პირობასთან

კრიტერიუმი: ელექტრონული პროცედურის სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში, პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს უპირობო, გამოუთხოვადი გარანტია სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადას.

¹⁷ NAT210020260

ფაქტობრივი გარემოება: შერჩეული 37 ელექტრონული პროცედურის შესწავლის შედეგად,¹⁸ 14 შემთხვევაში (იხ. დანართი) გამარჯვებული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოქმედების ვადა არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ შესაბამის ვადას.¹⁹

კომპანიის განმარტებით, შესყიდვების სპეციალური წესით სატენდერო კომისია არ არის შეზღუდული ხელშეკრულების გასაფორმებლად პრეტენდენტის მოწვევის ვადებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენის თარიღი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღისგან, რაც, თავის მხრივ, იწვევს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ გარანტიის მოქმედების ვადების დარღვევას.

დასკვნა: შესყიდვის ელექტრონული პროცედურების პირობების თანახმად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 50 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადას. ხშირ შემთხვევებში ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოქმედების ვადა არ შეესაბამება ელექტრონული პროცედურების პირობებით დადგენილ ვადას. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას არ ფარავდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა.

რეკომენდაცია N2

სს „საქართველოს რკინიგზის“ ინტერესების და სატენდერო პირობების დაცვის მიზნით, კომპანიამ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიასთან დაკავშირებით სატენდერო პირობებით განსაზღვრული რეგულაციებისა და ამ რეგულაციების შესრულების მექანიზმების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

2.2.2 პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესის ნაკლოვანება

კრიტერიუმი: კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესის მიზანია შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.

ფაქტობრივი გარემოება: კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესი არ ითვალისწინებდა სტატუსის – „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან, რა ვადაში უნდა ემსჯელა სატენდერო კომისიას, შეესაბამებოდა თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წინადადებების მიღების ეტაპზე სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. შესყიდვების სპეციალურ წესში ზემოაღნიშნული ვადების არარსებობის გამო, სხვადასხვა ტენდერში პრეტენდენტებს დასაზუსტებელი დოკუმენტების შემდგომი მოძიებისა და წარდგენისათვის ფაქტობრივად ეძლეოდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ვადები (იხ. ცხრილი N2).

¹⁸ აუდიტის პერიოდში ელექტრონული პროცედურის საშუალებით სულ გაფორმდა 202 ხელშეკრულება.

¹⁹ გარანტიის მოქმედების ვადა ნაკლებია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ ვადაზე.

ცხრილი N2. პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების განსხვავებული ვადები

ტენდერი N	შესაბამისობის დადგენის პერიოდი (დღე)	სახელმწიფო ღირებულება (ლარი)
GEO200000549	49	48,799
GEO210000316	36	61,232,139
GEO200000181	27	17,893
GEO200000465	26	13,836,119
GEO200000061	7	1,902,043
GEO210000439	4	17,812,733

აღნიშნული სრულად არ აკმაყოფილებდა კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესის მოთხოვნას, შესყიდვების განხორციელებისას პრეტენდენტების მიმართ სამართლიანი მიდგომის შესახებ. ასევე პრეტენდენტებისა და პოტენციური პრეტენდენტებისთვის არ იყო განჭვრეტადი შესყიდვის პროცედურის დასრულებასთან დაკავშირებული ვადები, რაც ართულებდა დაინტერესებული მხარეებისთვის ტენდერში მონაწილეობის დაგეგმვის პროცესებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანიის 2015 წლის შესყიდვების აუდიტის ანგარიშში გაცემულია რეკომენდაცია, რაც სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შესრულებულია 2022 წლის დასაწყისიდან.

დასკვნა: კომპანიის შესყიდვების სპეციალურ წესში, ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრისათვის დადგენილი ვადების არ არსებობის გამო, სხვადასხვა ტენდერში პრეტენდენტებს დასაზუსტებელი დოკუმენტების შემდგომი მოძიებისა და წარდგენისათვის ფაქტობრივად ეძლეოდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ვადები. აღნიშნული, სრულად არ აკმაყოფილებდა იმავე წესის მოთხოვნას, შესყიდვების განხორციელებისას პრეტენდენტების მიმართ სამართლიანი მიდგომის შესახებ.

2.3 სხვადასხვა შეუსაბამობები

2.3.1 ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკი

კრიტერიუმები: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის მიხედვით,²⁰ ანგარიშსწორების ვადების, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან გრძელვადიანი პერიოდით (30 და მეტი დღე) განსაზღვრა მნიშვნელოვნად ამცირებს მიმწოდებლების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მოტივაციას, რაც უარყოფითად აისახება კონკურენციის დონეზე. შესაბამისად, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განხორციელონ ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

²⁰ <http://www.procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=3bf771cb-3d0f-4907-a383-b6a38e200bbe>

ფაქტობრივი გარემოება: კომპანიის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებისა და შესყიდვის ელექტრონული პროცედურების ძირითად ნაწილში ანგარიშსწორების პირობად მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 40 საბანკო დღის განმავლობაში ანგარიშსწორება; ასევე განსაზღვრულია განსხვავებული პირობით ანგარიშსწორება, რომლის მიხედვითაც მიმწოდებლებს შეუძლიათ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ წერილობით მოითხოვონ 10 საბანკო დღის განმავლობაში ანგარიშსწორება. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებლებს საკომისიოს სახით ექვეითებათ მოთხოვნილი ნაწილის 1.73% და აისახება კომპანიის სასარგებლოდ, დამატებით შემოსავლად.

კომპანიის შესყიდვებში ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული ხანგრძლივი პერიოდი, შესაძლოა წარმოადგენდეს ელექტრონულ ტენდერებსა და შესყიდვის ელექტრონულ პროცედურებში კონკურენციის შემზღუდველ ერთ-ერთ გარემოებას და განაპირობებდეს კონკურენციის გარეშე ჩატარებული ტენდერების მაღალ ხვედრით წილს (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3. კონკურენციის გარეშე დასრულებული ტენდერები

წელი	ელექტრონული ტენდერი		ელექტრონული პროცედურა	
	2020	2021	2020	2021
სულ:	107	141	94	108
მათ შორის, ერთი პრეტენდენტი	48	73	56	71
ერთი პრეტენდენტი (%)	45%	52%	60%	66%

დასკვნა: კომპანიის ელექტრონული ტენდერებისა და შესყიდვის ელექტრონული პროცედურების მნიშვნელოვან ნაწილში განსაზღვრული ანგარიშსწორების გრძელვადიანი პერიოდი, შესაძლოა ამცირებდეს პოტენციური პრეტენდენტების მიერ ტენდერებში მონაწილეობის მოტივაციას და კონკურენციის დონეს, რაც ქმნის შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.

რეკომენდაცია N3:

სს „საქართველოს რკინიგზამ“, შესყიდვების განხორციელებისას კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, იმსჯელოს მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ანგარიშსწორების ვადების შემცირების შესახებ.

2.3.2 ბაზრის კვლევის ნაკლოვანებები

კრიტერიუმები: შესყიდვების კანონის მიხედვით,²¹ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები. ამავე კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.²²

²¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

²² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად,²³ ყოველი შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა), წლიური გეგმის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. განსახორციელებელი შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების/გამარტივებული შესყიდვის ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის მიხედვით,²⁴ ბაზრის კვლევის შედეგიანად განხორციელებისას, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, შეადგინონ შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს: ბაზრის კვლევის განხორციელების თარიღებს, მითითებას უფლებამოსილი პირის შესახებ და მის ხელმოწერას, აგრეთვე ბაზრის კვლევის შედეგების აღწერას.

აღნიშნული დოკუმენტი იმის მიხედვით, თუ რომელი მეთოდია გამოყენებული, ასევე უნდა შეიცავდეს ბაზრის კვლევასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მტკიცებულებას.²⁵

რეკომენდაციის მიხედვით, შემსყიდველ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმში, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის დაცვით, პოტენციურ მიმწოდებელთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითების გარეშე, ასახონ ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ცხადდება ელექტრონული ტენდერი.

ფაქტობრივი გარემოება 1: კომპანიამ ზოგიერთ შემთხვევაში ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.²⁶

ამასთანავე, წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უმეტეს შემთხვევებში არ არის სისტემატიზებული და სრულყოფილი.²⁷ კერძოდ, არ არის წარმოდგენილი პოტენციურ პრეტენდენტებთან გაგზავნილი წერილები, სატელეფონო გასაუბრების ოქმები, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილები, ბაზრის კვლევის განხორციელების თარიღები, მითითებები უფლებამოსილი პირების შესახებ და მათი ხელმოწერები, აგრეთვე ბაზრის კვლევის შედეგების აღწერა ან წარმოდგენილია მხოლოდ ერთ პოტენციურ პრეტენდენტთან განხორციელებული მიმოწერა და ა.შ.

ასევე, კომპანიის სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმები არ არის შედგენილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად. კერძოდ, არ მოიცავს ბაზრის კვლევის შესახებ იმ ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც ცხადდება ტენდერი.

ფაქტობრივი გარემოება 2: ელექტრომატარებლების დაზღვევის მომსახურების 5-წლიანი ხელშეკრულების²⁸ მოქმედების ვადა ამოიწურა 2021 წლის 25 ივლისს. 2021 წლის შესყიდვების გეგმის შედგენისას, კომპანიას ახალი ხელშეკრულების

²³ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლი.

²⁴ <http://www.procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=cf7279dd-ac38-4350-9f4c-4ae81081ccde>

²⁵ პოტენციურ მიმწოდებელთან პირისპირ/სატელეფონო გასაუბრების ოქმს, ელექტრონული ფოსტის საშუალებით განხორციელებულ მიმოწერას, პოტენციურ მიმწოდებელთა მიერ ინტერნეტსივრცეში განთავსებული ინფორმაციის ბმულ(ებ)ს, ასევე ეკრანის გამოსახულების ელექტრონულ ასლს და ა.შ.

²⁶ მაგალითად: GEO200000302; GEO200000061; GEO200000106; GEO200000280; NAT210005405, NAT210020758, NAT210022568

²⁷ მაგალითად: GEO200000535; GEO200000180; GEO200000602; GEO200000187; NAT210006498, NAT210009046, NAT210014309

²⁸ სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი პოლინგთან“ 2016 წელს გაფორმებული 5-წლიანი ხელშეკრულება - შს/16-218.

გაფორმების მიზნით შესყიდვის პროცედურის განსახორციელებლად, ბაზრის კვლევა არ ჩატარებია. ბაზრის კვლევის პროცედურები კომპანიამ დაიწყო ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე, თუმცა საკვლევი ობიექტის კომპლექსურობის გამო აღნიშნული პერიოდი არ აღმოჩნდა საკმარისი. შედეგად, ტენდერი ვერ გამოცხადდა წინა ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

შემდგომ პერიოდში, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ დაზღვევის მომსახურების შესყიდვისათვის გამოცხადებული სამი ტენდერი უშედეგოდ დასრულდა²⁹ და სადაზღვევო ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 9 ივნისს, მეოთხე ტენდერის საფუძველზე.³⁰ ახალი ხელშეკრულებით ყოველთვიურ პრემიის ოდენობად განისაზღვრა 9,959 აშშ დოლარი.

2021 წლის 25 ივლისიდან 2022 წლის 9 ივნისამდე პერიოდში კომპანიამ სადაზღვევო მომსახურება გამარტივებული წესით შეისყიდა ოთხჯერ, საშუალო ყოველთვიური 12,000 აშშ დოლარის ღირებულებით,³¹ რაც 2,041 აშშ დოლარით აღემატება ტენდერის საფუძველზე განსაზღვრულ სადაზღვევო პრემიას. საბოლოოდ, სხვადასხვა პერიოდში,³² 3 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში, კომპანიას ელექტრომატარებლები არ ჰქონდა დაზღვეული, ამასთანავე, 14,000 აშშ დოლარზე მეტი თანხა წარმოადგენს არაეკონომიურ ხარჯს.³³

დასკვნა : სს „საქართველოს რკინიგზამ“ ზოგიერთ შემთხვევაში ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, რაც არ შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნას. წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უმეტეს შემთხვევებში არ არის სისტემატიზებული და სრულყოფილი. სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმები არ არის შედგენილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა – კომპანიის მიერ განხორციელებული ბაზრის კვლევა უზრუნველყოფს თუ არა კონკურენტული გარემოს შექმნას და ფულადი სახსრების რაციონალურ განკარგვას.

სს „საქართველოს რკინიგზამ“ 2021 წლის შესყიდვების გეგმის შედგენის დროს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ბაზრის კვლევა არ ჩატარა, რის შედეგადაც კომპანიას დაუდგა სადაზღვევო მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული წესით შესყიდვის აუცილებლობა. აღნიშნული ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის პრინციპს. ამასთანავე, სხვადასხვა პერიოდში, 3 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში, კომპანიას

²⁹ პირველი ტენდერი NAT210014974 გამოცხადდა 2021 წლის 6 აგვისტოს, თუმცა შეწყდა; მეორე ტენდერი NAT210022252 გამოცხადდა 2021 წლის 24 ნოემბერს, რომელიც არ შედგა, ხოლო მესამე ტენდერი NAT220004492, რომელიც გამოცხადდა 2022 წლის 4 მარტს, დასრულდა უარყოფითი შედეგით.

³⁰ NAT220007982 - სს „სადაზღვევო კომპანია აღდაგთან“ 2022 წლის 9 ივნისს გაფორმებული №სს/22-149 ერთწლიანი ხელშეკრულება - 119,508 აშშ დოლარი.

³¹ CMR210104534 – 2-თვიანი 25,000 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება; CMR210134340 – 2-თვიანი 23,500 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება. CMR220030382 – 2-თვიანი 23,500 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება; CMR220056929 – 1-თვიანი 12,000 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება.

³² გამარტივებული წესით გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვადების დასრულებიდან ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდები.

³³ 2021 წლის 25 ივლისიდან 2022 წლის 9 ივნისამდე პერიოდი მოიცავს, დაახლოებით, 10 თვეს, საიდანაც სხვადასხვა პერიოდში, ჯამურად - 3 თვის განმავლობაში, აქტივი იყო დაუზღვეველი, ხოლო 7 თვის განმავლობაში გადახდილი სადაზღვევო პრემია, დაახლოებით, 14,000 აშშ დოლარით მეტია ტენდერის საშუალებით შესყიდვის ფასთან შედარებით.

ელექტრომატარებლები არ ჰქონდა დაზღვეული. ამასთანავე, 14,000 აშშ დოლარზე მეტი თანხა წარმოადგენს არაეკონომიურ ხარჯს.

რეკომენდაცია N4

სს „საქართველოს რკინიგზამ“, სატენდერო პირობების სათანადოდ განსაზღვრისა და ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, შექმნას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის სათანადოდ განხორციელებას და აღნიშნული კვლევის შედეგების შესაბამისად დოკუმენტირებას.

ხელმოწერა

აუდიტორები

ქართლოს სახვაძე

მთავარი აუდიტორი

გიორგი ბერუჩაშვილი

წამყვანი აუდიტორი

ალექსანდრე მღებრიშვილი

წამყვანი აუდიტორი

მირიან შარიქაძე

აუდიტორი

ქ. სახვაძე
გ. ბერუჩაშვილი
ს. მღებრიშვილი
მ. შარიქაძე

დანართი

დანართი. გარანტიის მოქმედების ვადის შეუსაბამობა სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ ვადასთან

ხელშეკრულება	კომპანია	საქონლის მიწოდების საბოლოო თარიღი	გარანტიის თანხა (აშშ დოლარი)	პირობის გათვალისწინებით გარანტიის მოქმედების თარიღი	გარანტიის მოქმედების ფაქტობრივი თარიღი	სხვაობა
შს/20-097	შპს Skinest Rail Georgia	27.06.2020	25151,5	16.08.2020	04.08.2020	-12
შს/20-199	შპს „ტექსპარო საქართველო“	24.11.2020	19765,0	13.01.2021	11.01.2021	-2
შს/20-244	შპს „საქართველოს შპალსაქლენთი ქარხანა“	31.12.2020	11108,9	19.02.2021	20.01.2021	-30
შს/20-103	შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“	13.08.2020	6700,0	02.10.2020	10.09.2020	-22
შს/20-154	შპს skinest rail georgia	11.08.2020	5345,0	30.09.2020	29.09.2020	-1
შს/20-297	შპს „კორსა ტრედი“	18.12.2020	4000,0	06.02.2021	25.01.2021	-12
შს/20-201	შპს „ვისოლ ავტო ექსპრეს“	25.09.2020	2031,0	14.11.2020	07.11.2020	-7
შს/20-273	შპს „იტს“	23.10.2020	1450,0	12.12.2020	09.12.2020	3
შს/20-096	შპს Skinest Rail Georgia	12.06.2020	910,0	01.08.2020	20.07.2020	-12
შს/21-043	შპს „იტს“	16.04.2021	379,0	05.06.2021	28.05.2021	-8
შს/22-004	შპს „ვაგონშენებელი კომპანიის სავაჭრო სახლი“	10.01.2023	97500,0	01.03.2023	25.02.2023	-4
შს/21-220	შპს „ინსპირეიშენ“	30.06.2022	47610,0	19.08.2022	19.07.2022	-31
შს/22-092	შპს „იტს“	30.05.2022	35172,0	19.07.2022	07.07.2022	-12
შს/21-090	შპს „ინსპირეიშენ“	27.08.2021	610,0	16.10.2021	06.09.2021	-40

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE